



გაზეთის ფასი:

გაზეთით, გაუგზავნელად

ერთი წლისა — 6 მან. კაპ.	5 მან. კაპ.
ნახევრის წლისა 3 „	2 „
ხუთი თვისა — 1 „ 75	1 „ 50
ერთი თვისა — „ 60	„ 50
ცალკე ნომრის — „ 12	„ 10

განცხადება ები, «დროებაში» დასა-
ბეჭდათ, მიიღება სხვა და სხვა ენებზე. ფა-
სი განცხადებისა: ჩვეულებრივს ასობით,
სტრაქისზე 8 კაპ. და ასო-მთავრულებით—
ასობაზე 1/2 კაპ.

დროება

საქართველო და საქართველო გაზეთი

ქაღალდი და მუშაობა

მიიღება თფილისში: «დროების» რე-
დაქციის კანტორაში (გ. წერეთლის და ამ.
სტამბაში, ხატისოვის სასახლეში).

ქუთაისში: გერასიმე გაღანდარ-
შვილი (სასულიერო სასწავლებელში).
გარეშე მცხოვრებთა შემდეგი ადრესით უნ-
და გამოგზავნონ მოთხოვნა: *Въ Туф-
лиса. Въ контору редакцїи газеты «ВРЕ-
МЯ», при типографїи Г. Церетели.*

გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკეობით

შინაარსი

საქართველო: ერთმანეთის დახმარე-
ბა — წერილი ამერიკის. — რუსეთი: წერილი ამერი-
კის — უცხო ქვეყნებში: საფრანგეთი, — ბას-
ტილიის აღება 1789 წ. და იმის დღესასწა-
ულადა წელს, — შვეიცარია — ციურინგისა
(«დროების» კორესპონდენცია, — გერმანია, — ნა-
რეკი. — განცხადება. —

ფელტონი: — ორი ჩვეულება აფხაზეთში.

საქართველო

ერთმანეთის დახმარება.

ერთი წელიწადი ისე არ გაივლის ხოლმე,
რომ ჩვენი ქვეყნის რომელსამე მხარეს რაი-
მე უბედურება არ შეემთხვეს: ხან კახეთს კა-
ლია დაესევა და სრულიად აფუტყვს ნამუშე-
რისა, ხან ქართლში გვალვა არის, ხან იმერე-
თში პირუტყვის ჭირი ჩნდება და უსაქონ-
ლოთ სტოვებს უიმისათ ღარიბ მცხოვრებ-
ლებსა, ერთ ალაგას გვალვა, მეორეს სეტ-
ყვა, ცუცხლი და სხვა. ამგვართ თუ ბუნებისა-
გან და თუ ადამიანის დაუდევრობისაგან მოე-
ლინებული უბედურება ერთ წელიწადსა

არ ასვენებს ჩვენს ხალხსა. ამ უკანასკნელი
თითქმის ოცი წლის განმავლობაში ჩვენ გვე-
წვია კიდევ ერთი საზოგადო უბედურება —
ყურძნის ავათყოფობა — რომელიც საქართვე-
ლოს საუკეთესო ნაწილს დაღარიბებას გამო-
ქრება.

ნუ თუ ამისთანა მდგომარეობაში ჩვე-
ნილი ხალხი გულ-ხელ-დაკრფილი უნდა
შეაჩერდეს ზეცას და იქიდან მოელოდეს თა-
ვის სხვა-და-სხვა უბედურებისაგან და სხვას?
მაღლა ხელების აშვერა, იქნება, კარგი საქმეა,
მაგრამ ამ შემთხვევაში, უცუქელა. ამგვარი
ქცევა ვერას გვიშველის. ტყუალათ კი არ
ამბობენ რუსები, რომ «ღმერთის იმედი გქონ-
დეს, მაგრამ შენც უნდა გაანძობიო!»
მართლაც, აქ გულზე ხელების დაკრება და
პირლია გაჩერება არას მოგვეხმარება; უნდა
გავინარეთ, უნდა მოვიფიქროთ — იქნება რა-
მე საშუალება მოინახებოდეს, რომელიც სულ
თუ არ დაგვიხსნის რომლისამე გაჭირვებისა-
გან, ცოტათი შეგვიშუბუქებს მინც არის
ჩვენი მდგომარეობასა.

მოვილაპარაკოთ ერთს ამგვარს საშუალე-
ბაზე.
კახეთისაკენ წელს საშინელი სეტყვა იყო,
ისეთი სეტყვა, რომელმაც მთელი გაღმა-
მხარი ქიზიყისა, თითქმის ოცი სოფელი, სულ
ააზრა; ასე რომ, როგორც ამბობენ, წელს
იქ არც ნამუშევრისა და არც ღვინის მოსე-
ლის იმედი აღარა აქეთო. ეს ამბავი «დრო-
ებისა» მკითხველებსაც კარგათ უნდა იცო-
დნენ იმ კორესპონდენციიდან, რომელიც
ამ გაზეთის მე-24 ნომერში იყო დაბეჭ-
დილი.

როგორ მდგომარეობაში იქნებიან მომა-

ვალ მოსავლამდი საწყალი ქიზიყელები? ამ-
ბობენ, იმათ უთხოვნიათ მთავრობისთვის,
რომ ფოჩის ფული, თუ შეიძლება, წელს
ან სულ გევაპტით, რადგან ამისთანა უბე-
დურება შეგვემთხვა და გადახდა არ შეგვი-
ძლიათ, და ან მომაველ წლამდე ნუ გადა-
გეანდევინებთო. მაგრამ კიდევ რომ გამოი-
ჩინოს მთავრობამ ღმდენი კეთილ-გულობა
და აპატიოს ფოჩის ფული, განა ეს ბევრ
შემწობას მისცემს ქიზიყელებსა? განა ამით
შემსუბუქდება იმათი მდგომარეობა?

საზოგადოთ შეუძლებელია, რომ ყოველ-
თვის მთავრობამ მოუპართოს ხალხს ხელი
ყოველ ამ გვარ შემთხვევაში. მაშ ხალხმა
უნდა ეცადოს, რაიმე ისეთი საშუალება მო-
ახოს, რომელიც დაეხმარება ამისთანა უბედუ-
რებას.

ჩვენი აზრით, ერთი ამ საშუალებათაგანი
იქნება ისევე ერთმანეთის დახმარება, ერთმანე-
თის ხელის მომართვა. და ეს ერთმანეთის
დახმარება აი როგორ შეძლება მოხერხდეს:
რამდენიმე სოფლის მცხოვრებლებს ადვი-
ლათ შეუძლიათ ერთმანეთს პირი მისცენ,
რომ თუ რომელსამე ამ სოფელს რაიმე უბე-
დურება შეემთხვა, მაშინ ჩვენ დანარჩენი სო-
ფლები ვალდებული ვართ ხელი მოვიმარ-
თოთოთ. ეთქვით, ამ გვარი პირობა ათი სო-
ფლის მცხოვრებლებმა მისცა ერთმანეთს და
ერთს წელიწადს ორი სოფლის მამული სე-
ტყვამ გააფუტა; მაშინ დანარჩენი რვა სოფე-
ლი ვალდებული იქნება ხელი მოუპართოს
ამ ორ სოფელს. შემდეგში შეიძლება სხვა
ორი ან სამი სოფლის მამული გააფუტოს
კალიამ; მაშინ აგრეთვე დანარჩენი რვა ან
შვიდი სოფელი დაეხმარება ამით და დროე-

ბით მინც არის წამოაყენებს ფეხზე.
ამგვართ, ერთმანეთის დახმარებით, ერთ-
მანეთის ზიანის ზღვით, დარწმუნებული იყა-
ვით, დაზიანებულ სოფლებს უფრო ნამდვი-
ლი სახსარი მიეცემათ, ვიდრემ გარეშდამ
შემოსულითოთო. ოროლა გროვით. რომელ-
საც, ვინ იცის, როგორ გაანაწილებენ...

ამგვარი პირობებით შეკრული საზოგა-
დოებები ახლა რუსეთში და უცხო ქვეყნებ-
შიაც ძლიერ ბევრია: ხშირათ მთელი მარგ-
ბის სოფლებსა და ან მთელი სახელმწიფოს
მცხოვრებლებს მტკიცე პირობა აქვთ ერთმან-
ერთისათვის მიცემული რომ თუ რომელ-
სამე სოფელს ან ნამუშევარი გაუფუტდა,
ან საქონელი დაეხოცა და ან სხვა რაი-
მე, წინათვე გარკვეული, უბედურება შეე-
მთხვა, მიეღმა საზოგადოებამ უნდა უზღოთო.
ამგვართ ეხმარებან ყოველ გონიერ ქვეყ-
ნაში მცხოვრებლები ერთმანეთსა. ის სოფე-
ლი, რომელმაც თავის თავზე იცნო — თუ
რა კარგია ერთმანეთის დახმარება და რა-
მელმაც თავის გაჭირვების დროს მიიღო
საზოგადოებისაგან რაიმე შემწეობა, ამისთა-
ნა სოფელი, უცუქელია, შემდეგში რითაც
შეუძლია დაეხმარება გაჭირვების დროს იმათ,
რომელთაც მას ერთხელ ხელი მოუპართეს.

როგორ, რა საშუალებაო და რა საფუძე-
ლით უნდა გაიმართოს ჩვენში ამგვარი საქ-
მე და საზოგადოებები — ამაზე ჩვენ ამჟამად
არას ვიტყვი და ყოველი მხარისთვის და ყო-
ველი დროისთვის ამაზე ბეჯითად ლაპარაკი
ახლა შეუძლებელია არის. ჩვენ გვირადა
მხოლოთ გვეჩვენებან მკითხველისათვის, რომ
ყოველს უბედურებაში ხალხს შეუძლია, თუ
მოიფიქრებს და მოინდობებს, ისეთი სახსარი

ფელტონი

ორი ჩვეულება აფხაზეთში

ბევრი ისეთი ჩვეულება დარჩენილი ხალ-
ხის ცხოვრებაში, რომლის უწინდელი აზრი
და მნიშვნელობა ახლანდელ დროში ჩვენ
არ გვესმის, რომელიც თითქმის სასაცილოდ
და სამასხაროდ მიგვაჩნია. მაგრამ ცოტა
რომ დააკვირდეს კაცი, ნახავს, რომ ამ ჩვეუ-
ლებებს თავის დროში დიდი მნიშვნელობა
ჰქონია ცხოვრებისათვის, ნახავს, რომ მათში
გამონახტულია ხალხის ცხოვრების პირობები,
რომლის ქვეშ დაუწყვია მას თავისი ცხოვ-
რება.

მართლაც, რა არის ჩვეულება?

ჩვეულება არის ხალხის ანუ კერძო-პირის
ცხოვრების შედეგი, არის კვალი, რომელში-
აც აღბეჭდილია წარსულ ცხოვრების პირო-
ბები. მაშასადამე შესაძლო საქმეა, რომ, ამ
ჩვეულების შემწეობით, რამოდენიც არის,
წარმოიდგინოს კაცმა ის წარსული ხალხის
ცხოვრების სურათები, რომელნიც შთან-
თქმულან საუკუნეთა სიღრმეში.

ამ აზრით ჩვენ გვსურს ავსწეროთ აქ ორი
ჩვეულება, რომელიც ახლა არსობს მარ-
ტო აფხაზეთში და სამურდაყანოში, და უ-
ჩვენოთ მათი უწინდელი მნიშვნელობა, რა-
მოდენიც შესაძლოა ჩვენთვის.

როგორც ექნება გაგონილი მკითხველს,

აფხაზეთში, სამურდაყანოში და სამეგრელო-
ში, თუმც ამ უკანასკნელში უფრო სუსტად,
სუფევს ორი ჩვეულება: პირველი გამხ-
დელიობა და მეორე სტუმრობა (მინ-
დობა). ეს ორი ჩვეულება არის ზნეობითი
კანონი ხალხისათვის აფხაზეთში და სამურ-
დაყანოში; აქ შეიძლება უღალატოს კაცმა
ყოველფერს, მაგრამ არასოდეს ამ ორ ჩვე-
ულებას.

აი რაში მდგომარეობს პირველი მათგანი:
დაიბადება თუ არა კმაწილი ორივე სქესისა,
ის მაშინათვე მიყავს გამზდელს თავის სახლ-
ში, სადაც იმყოფება დიდ ხანს. აქ კმაწილი
არის პირველი საზრუნელი საგანი: გამზრდე-
ლი არ ზოგავს, მისდა სანაცვლოდ, არც თა-
ვის თავს და აგრეთვე არც თავის შეილებსაც;
მისთვის არის პირველი ღოცვა ამ ოჯახში,
მას ეკუთვნის პირველი ადგილი ყველაფერ-
ში. გაზდელი გამზდელის ოჯახთან არის შე-
კავშირებული უუწინდესი ხალხისათვის კავში-
რითა; ის ამ ოჯახისათვის არ არის გარეშე
პირი, რომელიც მოსულა თავის სარჩენად;
არა, ის არის ზნეობითი ნათესავი მთელის
ოჯახისა და გვაროვნობისა. სჩანს, რომ ამ
ჩვეულებას დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონო-
და ხალხისათვის, რადგანაც ის არასოდეს არ
ეკავშირება ასე გულ-წრფელად და ასეთი
ზნეობითი კავშირით ისეთს საგანს ანუ ჩვეუ-
ლებას, რომელთაც არ ჰქონია დიდი მნიშ-
ვნელობა მის ცხოვრებაში.

რაში უნდა მდგომარეობდეს ეს მნიშვნე-
ლობა ხალხისათვის?

აი ის კითხვა, რომელზედაც უნდა უპა-
სუბოთ ჩვენ ამ სტატიამო.

ასეთი დამოკიდებულება არის გარკვე-
ბული უფრო თავდა-ზნაურებსა და გლეხებს
შუა; ამისთან ის არის შესანიშნავი, რომ
ყოველი კაცი ცდილობს იმ კაცის შეილის
გაზდას, რომელსაც უფრო გავლენა და ძა-
ლა აქვს თავის ქვეყანაში, ე. ი. სუსტი კაცი
ცდება კავშირს უფრო ძლიერ კაცთან. მაშა-
სადამე ის ცდება ძალას, რომლის შემწეობით
მას შეუძლია დაიფაროს თავი. მაგრამ ვისგან
უნდა დაიფაროს მან თავი?

რასაკვირველია, მტაცებლობის და უკანო-
ნობისაგან. მართლაც რომ ყოველი აბრევი
და აფხაკი, რა რიგ გარყენილი და გამხეცე-
ბული იყოს, მინც ძალიან ძვირათ ერჩის
ვინმე ძლიერი კაცის გამზდელს(?) და სტუმარს
(მინდობილს).


ასეთი ხალხის მოქმედებაში ჩვენ ვხედავთ,
რომ ის ცდება მშვიდობიანობასა და უშიშ-
რობას. მაშასადამე ის არ ყოფილა უსახლ-
კარო, როგორც ცხოველი და ველური
ხალხები, რომელნიც დარბიან, საითაც თავი
გაუძლებათ *). არამედ საფიქრებელია, რომ
ისყოფილა უშიშრათ დამჯდარი ერთს ალაგას,
სახლ-კარიანი. ეს მშვიდობიანობა შეიძლება
და მაშინ, როცა ყოველი ოჯახი იქნებო-

*) აქ საუბარია იმ დროზე, როცა პირველად
დასრულდა ეს ჩვეულება და არა ახლანდელზე.

და დაფარული როგორც გარეშე, აგრეთვე
შინაური მტრებისაგანა. მაშასადამე ყოფი-
ლა ისეთი დრო, როცა ამ ხალხს უცხოე-
რია უშიშრად და ამისა გამო მოუქილია ხე-
ლი ოჯახობისათვის. ხოლო ასეთი მდგომა-
რეობა შეიძლება და მაშინ, როცა მთელს
საზოგადოებას ანუ ხალხს ექნებოდა პირობა
შეკრული, რომ საზოგადო ძალით დაიფა-
რონ თავი ყოველნაირ მტრებისაგან, ე. ი.
როცა მათ ექნებოდათ საზოგადო მმართვე-
ლობა, რომელიც იფარავდა, როგორც ცალ-
კე პირს, აგრეთვე მთელს საზოგადოებას.

მაგრამ ამ მშვიდობიანობის დროს გამო-
ჩენილან ისეთი პირები, რომელნიც, სხვა და
სხვა მიზეზებისაგანა, გაძლიერებულან და
დაუშლიათ ხალხში მშვიდობიანობა და სა-
ზოგადო კავშირი. ამგვარი პირების გამო-
ჩენის მიზეზი იყო მრავალი სხვა და სხვა ის-
ტორიული და ეკონომიური გარემოებები,
რომლის გამოკვლევას ჩვენ არ შეუძლებით
აქ, რადგან ეს საქმე ძალიან შორს წაგვიყვანს.

ამისთანა პირები ბევრს არ გამოეცილებოდ-
ნენ სამართალს და პატიოსნებას; რადგანაც
ძალა მათ ხელში იყო; მათ შეეძლოთ ექ-
ნათ ვისთვის კარგი და ვისთვის ავი, რო-
გორც უნდოდათ. მაშასადამე ხალხს რჩებო-
და ერთი ღონის-ძიება თავის საშველად — მე-
გობრული დაკავშირება ამ პირებთან. ამგვა-
რათ სუსტი ხალხი დაკავშირებია ძლიერ
კაცს. ცხადია, რომ, რაც უფრო ძლიერი
იყო ეს კაცი, ისე უფრო ბევრი დამეგობ-



იპოვოს, რომელიც ცოტათი მინც შემოსუბუქებს ამ უხედურებას.

ამას გარდა ამისთანა შემთხვევებში სასოფლო ბანკებსა და პურის საზოგადო მალაზიებს ამაზე მომეტებული თუ არა, ნაკლები სარგებლობის მოტანა არ შეუძლიათ. მაგრამ ამ საგნებზე ჩვენ კლავაც ხშირად გვილაპარაკენია და ამიტომ ახლა არას ვიტყვით.

ს. დ.

«ს. პეტერბურლის უწყებებს» გაუგონა, რომ 15 ივლისს რომ ვაჭრობა ყოველი ინჯენერის დეპარტამენტში დანიშნული, ფოთის პორტის ასაშენებლად, ამდროს არი მსურველი გამოჩენილა. მთავრობას უფრო სასარგებლოდ უფ. ფალკენგაგენის პირობები დაუნახეს და ამის გამო, ამბობენ, ამ პორტის აშენებას იმას მიანდობენ, თუ კავკასიის კამიტეტმაც იმის პირობები მიიღო. უფ. ფალკენგაგენს წარუდგენია პირობა, რომლის ძალითაც ის ორ მილიონად და სამოცდა ხუთი ათას (2,065,000) მანეთად პირდება ფოთის პორტის აშენებას.

მომავლის წლის ნოემბრიდან ჩვენს ქალაქში ერთი ახალი დროგამოშვებითი გამოცემა დაიწყება, სახელად «Кавказская Страна», რომლის გამოცემასაც უფ. ერიცოვი ჰქირსულობს. ეს იქნება სპეციალური ჟურნალი და თვეში ერთხელ გამოვა სურათებითა. იმის დანიშნულება, როგორც თვით პროგრამიდან სჩანს, ის იქნება, რომ კავკასიის ისტორიისა, არხეოლოგიისა და ეტნოგრაფიის მასალები ბეჭდოს თუ ძველი და თუ ახალი.

თფილისში მოვიდა ნამდვილი ამბავი, რომ ივნისის 24-ს სამზღვარს გარეთ გარდაცვლილა ერთი პატიცემული გემი, რომელსაც ჩვენს ლიტერატურაზე ძალიან დაახლოებული დამოკიდებულება ჰქონდა: ჩვენ ვამბობთ ჩვენს ცენზორზე, უფ. ივანე ლაზარეს-ძეს უითმანოვზე, რომელიც, როგორც აქ ამბობენ, გულის ტყველით მომკვდარა, ვზინებთ, ბადენ-ბადენში.

თითქმის იმავე დროს მიიცვალა თფილისში უფ. ყაითმანოვის დროებითი მთავრობე

პირი, ექიმი იაგორ სთფანეს ძე ბასტა-მოვი. დმერთმა ორივეს საუკუნო განსვენება მიანიჭოს.

რუსეთი

პეტერბურღში და მოსკოვში ხოლოცა ჯერ სულაც არ მოსპობილა, მაგრამ არც ძლიერდება. მოსკოვის საავთმყოფოებში ივლისის 14-ს სულ 51 ქალი და კაცი ყოფილა ხოლოცით ავთა. სულ თავი-დამ (ივნისიდან) ამ ავთმყოფობით მოსკოვში 308 სული ყოფილა ავთ და ამ რიცხვში — 162 მომკვდარა. პეტერბურღში 11 და 12 ივლისს 78 კაცი და ქალი მომკვდარან ხოლოცითა. 13 ივლისს 415 სული ყოფილა საავთმყოფოებში. სულ თავი-დამ 1,295 კაცი ყოფილა ხოლოცით ავთა და ამ რიცხვში 307 მომკვდარა. ხოლოცას გარდა ამჟამად პეტერბურღში ყვე-ლი არის ძლიერ გავრცელებული, ასე რომ ამ ავთმყოფობასაც წელს ზოფხულს იქ 373 კაცი მოუკლავს. ოდესაში კი ხოლოცა, როგორც განთებში იწერებიან და ჩვენც მოგივიდა ამბავი, თან-და-თან ჰკლებულობს თურმე.

სრულებით გასამტყუნარი არ არიან ხან-დან ის მშობლები, რომელიც თვიანთ ახალგაზდა ქალებს მარტო არ გაუშვებენ ხოლმე არსად. ხშირათ ჩნდებიან ისეთი უსინდისო პირები, რომელიც მიადგებიან მარტო გზაზე მიმავალს ახალგაზდა ქალსა და უსიამოვნებას მიაცენებენ. ამისთანა შემთხვევისაგან დაშინებული დედ-მამა, რასაკვირველია, თავის ქალს მარტო არსად არ გაუშვებს. პეტერბურღში ამას წინათ შემდეგი ამბავი მოხდა: ერთი პატიოსანი ქალი მარტო მიდილა დამე ქუსში; უცრათ იმას წამოიწია ვილაც უკანი-დამ, გადაეხეა და აკოცა. ქალმა ერთი დაიყვირა შინისაგან, მერე გულს წაუვიდა და იქვე დაეცა. ეს უსინდისო კაცი მაშინვე დაიჭირეს და მეორე დღეს მომრიგებელ მოსამართლემ იმას ერთი თვით სასკობილეში ჩასმა გადაუწყვიტა.

რებობა მას, რისაგანაც ასეთი პირის მნიშვნელობა ისე დამყარდებოდა, რომ არა თუ უღონო ხალხი, არამედ უფრო ძლიერნიც დაიწყებდნენ მასთან კავშირის ძებნას, ის ამ გამო მისი მნიშვნელობა ბოლოს უფრო ძლიერი შეიქნებოდა ამ ქვეყანაში.

ასეთივე აზრი და შედეგი ქონდა მეორე ჩვეულებასაც ხალხისათვის. აი რაში მდგომარეობს ეს მეორე ჩვეულება (მინდობა).

რომელიმე გლეხი, რომელსაც შებატონემ გაუჭირვა საქმე უკანონობით, ანუ მუშობ-ლებმა—შურით, სტაგებდა თავის ადგილს მალეით და ენდობოდა ვისმე ძლიერ კაცს, რომელსაც შეეძლო მისი დაფარვა მდევნე-ლებსაგან. ამ შემთხვევაში ბევრი მათგანი იხსნიდა კიდევაც საუკუნოდ თავს შე-ბატონესაგან.

რაც ესტყვი, იქიდან ცხადთ სჩანს, რომ ეს ორი ჩვეულება შემოულია ხალხს თავის დასაფარველად. მაგრამ ესლა ენახოთ, რა შედეგი ჰქონდა ასეთს ხალხის პოლიტიკას.

ცხადი საქმეა, რომ ის პირები, რომელთაც მოუყრიათ თავი ასეთი ძლიერი კაცის ქვეშ, იქნებოდნენ ვალდებულნი თავიანთ მხრითაც გამოეჩინათ რაიმე ერთგულება ამ კაცის წინაშე, ე. ი. მოეტანათ რამე სარგებლობა თავიანთ ნებეირი სამსახურით. ასეთი ნებითი სამსახური თითქმის ჩვეულებათ გადაიქცეოდა დროს განმავლობაში.

ნათქვამია: ჩვეულება სჯულთ უმტყიცესიაო, და ეს ანდაზა ამ შემთხვევაში სრულ-ლებით გამართლდა: რამოდენიმე მოდგმის შემდეგ, როცა ყველას დაავიწყდა ის წნეობითი კავშირი, რომლითაც იყვნენ მათი წინაპრნი შეკავშირებულნი, ეს ნებითი სამსახური და ერთგულება დაეღ-და დადაუხდელი და სამუდამო ვალად, და ამ რიგათ ერთხელ თავისუფალი კაცები იქცნენ ყმებად და მასთან გაჩნდა ბატონ-ყმობა, ანუ გვაროვნობითი განხეთქილება ხალხში.

როგორც ესტყვი, ეს ორი ჩვეულება არის აფხაზეთში და სამურდაყანოში; სამეგრელოში თუმცა არის, მაგრამ ხალხი ასეთს მნიშვნელობას არ აძლევს, როგორც აფხაზეთში და სამურდაყანოში. ხოლო იმერეთში კვალის მეტი არღარა დარჩენილა ამ ორ ჩვეულებისა.

საფიქრებელია, რომ ეს ორი ჩვეულება ოდესმე უნდა ყოფილიყო მთელს საქართველოს ხალხში, რომლის ძალით დაარსებულა ის ხალხის წნეობითი ღირსების დამლუპავი და დამცემი წყობილება, რომელსაც მოვიწერით ჩვენ, ე. ი. ბატონ-ყმობა.

აი როგორ მოახდინა ეს წნეობითი ხალხის დაცემა ბატონ-ყმობამ:

მებატონე უფრო კარგის თვლით შეხედავდა მას, ვინც უფრო ერთგულობდას და თავდაბლობას გამოიჩენდა მის წინაშე; ეს საქმე, რასაკვირველია, შეუწინაშედავდ არ დარჩებოდა სხეებისთვისაც; ყველა მათგანი დაიწყებდა ცდას გაემარჯვა ამ გზაზე, თუმცა თავის

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი

ბ ა ს ტ ი ა დ ი ა ს ა დ ე ბ ა

1789 წლის 14 ივლისს და იმისა

დღესასწაულსა წესს.

(დასასრული)

კანონის გამოცემა და წნეობითი ძალიც კოროლისაგან ნაციონალურ კრებაზედ გადავიდა; ნეკერის ხელახლად დარჩენა სთხოვა კოროლმა თავის ადგილზედ, თუმცა იმ დილას კი დათხოვილი იყო სამსახურიდან. სასახლის პარტიას რომ გულ-წრფელით ემოქმედნა, ჯერ კიდევ შეიძლება საქმის გასწორება, მაგრამ ყოველი პარტია, სანამ მთლიან არ დაეცემა, მანამ თავისას არ მოიშლის. როდესაც ხალხის წარმომდგენლები პირველად შეიკრიბნენ, კოროლს შეეძლო მიეცა კონსტიტუცია; ესლა კი თითონ უნდა მიეცა პირობები ხალხისგან. გონიერი მმართველის ღირსება ის არის, რომ სანამდინ ხალხი რასმეს მოითხოვდეს, მანამდინ უნდა დააკმაყოფილოს ის, თორემ როდესაც ხალხი აღელვდება და მოთმინებიდან გამოვა, მაშინ ის ცოტა რასმეს კი აღარ დასჯერდება. ყველა მართებლობა, რომელიც ამ კანონს გარდამხდარა, სასტიკათ დასჯილა თავის ჯიუტობისათვის.

ასე იყო ლუდოვიკოს საქმეც. ის რომ გარემოებას დამორჩილებოდა, კიდევ გასწორებდა თავის მდგომარეობას, მაგრამ სასახლის პარტიას იმდენი შიშის-გამსჭვრეტელობა არ ჰქონდა. იმათ დაარწმუნეს კოროლი, რომ პალატას ძალით მოქცეოდა, რადგანაც ვერსალსა და პარიჟსაც პალატის მხარე ეჭირა. თავის განზრახვის სისრულეში მოსაყვანათ, კოროლმა ფიცსდავ ჯარები მოიხმო; ხალხის წარმომდგენლები კი ამ დროს გულდასმით კონსტიტუციას ადგენდნენ. ამ შრომისთვის, იმათ პარიჟი და სხვა ქალაქები მხურვალე თანაგრძობას და ერთგულებას უცხადებდა. მოკლე ხანში რომ შესანიშნავი რამე მოხდებოდა—ეს სულაც არ იყო სა-

ფიქრო; მართლაც, ვერსალის მომხრეებში იჯარებით აიგსო და სახმედრო ბანაკს დაემზგავსა; პალატას ყარაულები დაუყენეს და შიგ მაყურებლებს აღარ უშვებდნენ; პარიჟსაც სულ ირგვლივ ჯარები შემოართვეს, თითქო ასაღებათ ან დასანგრევათ უნდათო.

ესე ყოველივე ძლიერ ცული ნიშნები იყო; ხალხი დრტინადა და დელოდა. ნაციონალურმა კრებამ კოროლის შეგონება მოინდომა, გაუგზავნა დეპუტაცია და სთხოვა ჯარების ქალაქიდან გაყვანა; მაგრამ კოროლმა უარი სთქვა ამ თხოვნაზედ. ამ დროს პარიჟი თავისას შერებოდა: ხალხი მადენებზედ იკრიბებოდა, გაქარებულთა ლაპარაკობდა უსამართლეობაზედ და მართებლობის საწინააღმდეგოთ ერთი მეთრეს ამხნეებდნენ. ესლა პატარა ნაპერწკალი კმაროდა, რომ საშინელი ცეცხლი გამოდარიყო. ოსტატი და გონიერი მმართველი, რამდენიმე ხალხის სასარგებლო თავაზით, კიდევ თავის კალაპოტში ჩაიყვანდა აღელვებულ ხალხს, მაგრამ მაშინდელი პოლიტიკოსები სულ სხვანაირ მოქმედების რიგს ადგენენ...

ერთბაშათ გავარდა ხმა, რომ ნეკერი გამოცვალეს და საშვღვარს გარეთ გაგდესო. ეს მინისტრი უყვარდა ხალხს, რადგანაც ის ყოველთვის მოწინააღმდეგე იყო ხალხის შევიწროებაზედ. უამისოთაც კი გაბრაზებული იყო ხალხი და ამ საქმემ სრულიად მოთმინებლად გამოიყვანა: იმწამსვე პალეოროლის ბაღში შეიკრიბნენ რამდენიმე ათასი კაცი სარჩევათ—თუ რაზედ დამდგარიყვნენ? აქ მაშინ ყველაზე უფრო გაცხარებულად მოქმედებდა წარჩინებული ყმაწვილი ადვოკატი კამილლ დეშულენი, რომელმანც შემდეგში დიდი მნიშვნელობა მოიპოვა რევოლუციურმა თავის გონიერი და მახელი მჭევრმეტყველებითა. კამილლი ხალხის სიყარულით და თავისუფლების აზრით იყო აღტაცებული. როდესაც ხალხი მართლა ბლომათ მოგროვდა ბაღში, მაშინ დეშულენი შეხტა სტოლზე და შემდეგი სიტყვა უთხრა ხალხს: «უკანასკნელი დღე არის, მოქალაქენო! თუ თავი არ დავიცევით, კოროლის ჯარები

რებობა მას, რისაგანაც ასეთი პირის მნიშვნელობა ისე დამყარდებოდა, რომ არა თუ უღონო ხალხი, არამედ უფრო ძლიერნიც დაიწყებდნენ მასთან კავშირის ძებნას, ის ამ გამო მისი მნიშვნელობა ბოლოს უფრო ძლიერი შეიქნებოდა ამ ქვეყანაში.

ასეთივე აზრი და შედეგი ქონდა მეორე ჩვეულებასაც ხალხისათვის. აი რაში მდგომარეობს ეს მეორე ჩვეულება (მინდობა).

რომელიმე გლეხი, რომელსაც შებატონემ გაუჭირვა საქმე უკანონობით, ანუ მუშობ-ლებმა—შურით, სტაგებდა თავის ადგილს მალეით და ენდობოდა ვისმე ძლიერ კაცს, რომელსაც შეეძლო მისი დაფარვა მდევნე-ლებსაგან. ამ შემთხვევაში ბევრი მათგანი იხსნიდა კიდევაც საუკუნოდ თავს შე-ბატონესაგან.

რაც ესტყვი, იქიდან ცხადთ სჩანს, რომ ეს ორი ჩვეულება შემოულია ხალხს თავის დასაფარველად. მაგრამ ესლა ენახოთ, რა შედეგი ჰქონდა ასეთს ხალხის პოლიტიკას.

ცხადი საქმეა, რომ ის პირები, რომელთაც მოუყრიათ თავი ასეთი ძლიერი კაცის ქვეშ, იქნებოდნენ ვალდებულნი თავიანთ მხრითაც გამოეჩინათ რაიმე ერთგულება ამ კაცის წინაშე, ე. ი. მოეტანათ რამე სარგებლობა თავიანთ ნებეირი სამსახურით. ასეთი ნებითი სამსახური თითქმის ჩვეულებათ გადაიქცეოდა დროს განმავლობაში.

ნათქვამია: ჩვეულება სჯულთ უმტყიცესიაო, და ეს ანდაზა ამ შემთხვევაში სრულ-

ლებით გამართლდა: რამოდენიმე მოდგმის შემდეგ, როცა ყველას დაავიწყდა ის წნეობითი კავშირი, რომლითაც იყვნენ მათი წინაპრნი შეკავშირებულნი, ეს ნებითი სამსახური და ერთგულება დაეღ-და დადაუხდელი და სამუდამო ვალად, და ამ რიგათ ერთხელ თავისუფალი კაცები იქცნენ ყმებად და მასთან გაჩნდა ბატონ-ყმობა, ანუ გვაროვნობითი განხეთქილება ხალხში.

როგორც ესტყვი, ეს ორი ჩვეულება არის აფხაზეთში და სამურდაყანოში; სამეგრელოში თუმცა არის, მაგრამ ხალხი ასეთს მნიშვნელობას არ აძლევს, როგორც აფხაზეთში და სამურდაყანოში. ხოლო იმერეთში კვალის მეტი არღარა დარჩენილა ამ ორ ჩვეულებისა.

საფიქრებელია, რომ ეს ორი ჩვეულება ოდესმე უნდა ყოფილიყო მთელს საქართველოს ხალხში, რომლის ძალით დაარსებულა ის ხალხის წნეობითი ღირსების დამლუპავი და დამცემი წყობილება, რომელსაც მოვიწერით ჩვენ, ე. ი. ბატონ-ყმობა.

აი როგორ მოახდინა ეს წნეობითი ხალხის დაცემა ბატონ-ყმობამ:

მებატონე უფრო კარგის თვლით შეხედავდა მას, ვინც უფრო ერთგულობდას და თავდაბლობას გამოიჩენდა მის წინაშე; ეს საქმე, რასაკვირველია, შეუწინაშედავდ არ დარჩებოდა სხეებისთვისაც; ყველა მათგანი დაიწყებდა ცდას გაემარჯვა ამ გზაზე, თუმცა თავის

მომხის და რკოლებითაც, რადგან თავი ყველას უყვარს.

ცხადია, რომ ასეთი ერთგულობა ათასში ერთი გულ-წრფელი და ნამდვილი არ იქნებოდა, მაშასადამე როგორც გლეხი აგრეთვე მებატონეც ეჩვეოდა პირ-მოთხოვას და მარტო თავის თავზე ზრუნვასა.

ამ რიგათ მთელი ხალხი გაიყვნა წნეობით, და ამან მისს ისტორიულ ცხოვრებას ბოლო მოუღო...

ჩვენ აქ შევეძლო დავვისრულებინა ჩვენი სტატია, მაგრამ როგორც ვეჭვობთ, ზოგიერთი მკითხველისთვის არ უნდა იყოს ცხადი ჩვენი უკანასკნელი სიტყვების შემართება. ამისგან მოკლეთ ავხსნი ამ სიტყვების მნიშვნელობას:

უშველია, რომ როგორც დრო მიდიოდა, ისე თან-და-თან მრავლდებოდა ასეთი მებატონეების რიცხვი, მაშასადამე მათი გავლენაც ხალხზე. ყოველი მათგანი იყო მიჩვეული მხოლოდ თავის თავზე ზრუნვას; მისთვის სულ ერთი იყო, რაც არ დაპართოდა მის მეზობელს, ოღონდ თითონ ყოფილიყო კარგათ; ის მუდამ ყურებ დაკვეცილი იჯდა, რომ რამე წაეგლიჯა მეზობლისათვის მარჯვე შემთხვევაში. მაშა სადამე ასეთ პირებს შუა ერთობა და თანხმობა რამე საზოგადო საქმისათვის მოუხერხებელი იყო; ხოლო ყოველი მათგანი მუდამ მზათ იყო, გაეყიდა და ელატებინა მეზობლისათვის, ოღონდ რომ რეზობდა რამე მისი ქონებისა-

გან. გარეშე მტერი მუდამ შოულობდა უმტყიცეს და უმარჯვეს საშუალებას ასეთ პირებში ქვეყნის დასამორჩილებელად.

მტერი პირდებოდა მათ გაკეთებას, თუ თავის მეზობელს დაამორჩილებინებდა. ის სიხარულით მიზღვედა ასეთ მტერს თავის მეზობელზე. აქ ის იჩნდა დიდს მამაცობას კლავდა, სწვავდა და სცარცევდა უფრო სასტიკად მეზობელს, ვიდრე გარეშე მტერი.

ხოლო გარეშე მტერი ეფერებოდა მას, სანამ ის გამოსადგეე იყო მისი პოლიტიკისათვის. ბოლოს, როცა მტერი ისე გაძლიერდებოდა ამ ქვეყანაში, რომ ასეთი პატიოსანი ბატონის წახმარება საქმით არ იქნებოდა, მაშინ ამოჰკრავდა ერთ-ორ პანდურს და გააგდებდა კარში.

ამ პოლიტიკას ძალიან მჭიდროდ ეყიდებოდნენ ძველ დროში საქართველოს მტერები და ყოველს დონის-ძიებას ხმარობდნენ. რომ უფრო გაემართა ის შური და განხეთქილება, რომელიც საქართველოს ხალხში უმისოთაც მსუფვედა.

აქედამ ძალიან ადვილად შეგვიძლია ავხსნათ იმის მიზეზები, რომ საქართველოს მუდამ ჰყოლია ასი მეფე, ათასი მთავარი და ლეგიონი თავადები, რომელთაც გამოსწოვეს სისხლი და ტენი საქართველოს ისტორიულ ცხოვრებას...



სრულიად ამოგვეტყოს ერთი ღონელი და გერჩინა. იარაღს უნდა მოკიდოთ ხელი» ხალხმა აღტაცებით გამოაცხადა თანხმობა. ამის შემდეგ დემუტუნმა ხეს ფოთოლი მოგლოჯა და უთხრა ხალხს: «ენიკ მამულის შვილია, ყველამ ანაირი ფოთოლი გაიკეთოს ქულზე. ეს იმედსა ნიშნავს» და თითონ პირველად დაიბნია შოლაზედ. ერთ წამს რამდენიმე ხე გაცალეს ფოთლებისაგან. აქედან დემუტუნმა გაუქმდა ხალხს, დამაბოთ და ხმლით ხელში. მოსძებნეს ნეკერის ბიუსტი, დაიჭრეს ხელში და ამ ნაირათ იყუა სიარული ქალაქში რამდენიმე ათასმა კაცმა. ყოვლის მხრიდან აუარებელი ხალხი მოდიოდა და ემატებოდა ამ პროცესის. ერთს ქუჩაში კოროლის ჯარს უნდოდა ხალხი გაეფანტა, მაგრამ იმდენი ქვები მიყარეს ჯარს, რომ ის მაშინვე გაიქცა.

შეიტყუა თუ არა ამ ნაირი ჯარის დამარცხება კოროლის სარდალმა, მაშინვე ერთი კვალიერის პოლი აფრინა. რამდენიმე ათასი ცხენოსანი კაცი დაეჯახა ხალხს და ცოტას ხანს შემდეგ გაფანტეს. რამდენიმე კაცი დაჭრეს და ორი კიდევ მოკლეს. ეს საკმაო მიზეზი იყო და ხალხმა იარაღი მოითხოვა. გვარდიის სალდათები, რომელთაც წინეთ ხალხზე თოფის სრალის უარი სთქვეს, ცხლაყაზარმებში იყვნენ დამწყვედულნი. აფიცრები ძლიერ ამაგრებდნენ ამ ხალხს-მომხრე ჯარსა; მაგრამ როცა ერთი მათი ამხანაგი შევიდა ყაზარმაში და უამბო იმათ, რომ კოროლის ჯარი ხალხს ქლევს და ერთი ჩვენი ამხანაგიც მოკლესო, მაშინ გვარდიელებმა ფიცხლად ფანჯრები გამოაპტკრიეს, გამოვიდნენ, აიღეს ხელში თოფები და წაივინდნენ დასაბანაკებლათ ხალხსა და ჯარებს შუა. გზაში ერთი პოლი უკუ-აქციეს, როდესაც იმათ უპასუხეს, რომ ჩვენ კოროლისაყენ ვართო.

ცხლა იმედი იყო, რომ გვარდიის ჯარი კოროლის ჯარების დასხმისაგან დიფარავდა ხალხსა. ცოტა ხანს უკან შევიცარიის პოლი მოვიდა გვარდიელების დასასჯელათ, მაგრამ ბრძოლისა ნაცვლად, ეს პოლიც ხალხისაკენ გადმოვიდა.

რადგანც პარიფი ცხლა თითქმის ხალხის ხელში იყო, იმან თავისი სანდო კაცები და ნიშნა რატუშაში და შეიარაღება მოითხოვა. ერთს დღეს შესდგა ისეთი არმია, რომლისაგან შემდეგში წარჩინებული ევროპის სარდალები გამოვიდნენ.

ევროპაში კი ამ დროს სხვა ამბები იყო. ნეკერის დათხოვნა დიდს მწუხარებით მოისმინა პალატამ; ცხლა ერთხელ კიდევ შეჭვიცეს ერთმანერთს სამშობლოს ერთგულებაზედ და სამტკიცოველ:

«ან უნდა მოკვდეთ, ან კონსტიტუცია უნდა გვექმნეთ.» გარდაწყვიტეს ხალხის წარმომადგენლებმა. კიდევ სცადეს კოროლთან დეპუტაციის გაგზავნა, რომ პარიფიდან ჯარები გაეყვანა, მაგრამ ლუდოვიკოს თავის საქმეკარგ მდგომარეობაში ეგონა და კიდევ უარი უთხრა დეპუტაციას. ამის შემდეგ ნაციონალურმა კრებამ რამდენიმე ხელმწიფის საწინააღმდეგო წინადადება მიიღო და დღე დაღამე არ შეუწყნარებია სხდომა.

პარიფში კი გაცხარებული ზარების ცემა და ბარაბანის ხმა ისმოდა. ეს იყო ხალხის შეგროვების სიგნალი. როდესაც საკმაო მოიყარეს თავი, იმწამსვე იარაღის მალაზიებს მიმართეს. გამოიტანეს რაც იქ იარაღი იზარუნეს, დაირიგეს და პატრონებს თამასუქები მისცეს. მერმე ქალაქის უფროსთან მივიდნენ და სთხოვეს იარაღის მიცემა. მან, თუმცა შეშპირდა ხალხს იარაღის შოვნა, მაგრამ მოატყუილა. ამ დროს ხალხი ისეთი აღტაცებული და გაცხარებული იყო, იფიქრებდა

კაცი: «ეს, რაც კი ხელში მოჰხვდება, ალა რაფერს დაზოგავსო». მაგრამ, პარიფელების სასიქადულოთ, იმ დღეს ერთი გროშის არა გაუფუჭებულა რა.

ანაირი სულგრძელობა და პატიოსნება პარიფის უბრალო ხალხს ბევრჯელ გამოუჩინია ხოლმე. ცხლა მწუხან ნიშნის მაგიერათ ქულზედ ორი ნაციონალური ფერი გაიკეთეს: ლურჯი და წითელი.

ყველა რალაცა საშინელს მოელოდა; ხალხს გასაოცარს მოძრაობაში იყო. ამათ ზედსევე, ოც და რვა ათასი თოფი და რამდენიმე ზარბაზნები კიდევ იშოვნეს; ყველას საქმე ჰქონდა: ქალები ტყეებს ასხამდნენ, კაცები შუბებს სკედდნენ... ცოტა ხანს უკან ყველა ფერი მშათა ჰქონდათ. გაისმა ხალხში ხმა: «ჯარები მოდიან, ბასტილის ციხიდან ხალხს ზარბაზნები დაუმიზნესო!»

კომიტეტმა იმ წამსვე დეპუტატი გაგზავნა ლუბერნატორთან, რომ ციხის კედლიდან ზარბაზნები აეღოთ და არამცა და არამც არ გაეზენდათ ბრძოლის ატეხა, მაგრამ გუბერნატორი არ დათანხმდა. მაშინ პარიფში ერთ ლანდზედ ელვასავით შემოიპრინა ყვირილმა: «ბასტილიაზე ბასტილიაზე!» ორ საათზედ თოფებით, შუბებით და ყოველგვარი იარაღით ციხის გაღავნას დიდძალი ზარბაზნი მიადგა. ხალხს თხოულობდა ციხის დაცლას; ის მოდა ხმა: «ბასტილია ჩვენი უნდა იქნესო!» ჯერ კი შეუშვეს ციხეში ხალხი და მერმე ზარბაზნები დაუმიზნეს. ასამდინ კაცი და ქალი მოკლეს, ბევრი დაიჭრა... ეს რომ ხალხმა დაინახა, მაშინ თავგანწირვით მივირდა ციხეს და, ოთხი საათის ბრძოლის შემდეგ, აიღო ბასტილია.

ლუბერნატორი, ციხის კამენდანტი და რამდენიმე სისხლის ღერის დამწამვე პირები იქვე გაგლიჯეს. აქედამ რატუშაში წაივინდნენ ყვირილით: «გამარჯვება! გამარჯვება! თავისუფლება!» იქ ქალაქის უფროსი გამოიხმეს და მოკლეს, რადგანც ლუბერნატორთან მიწერილი ბარათით ხალხის ღალატი უმტკიცდებოდა. ამ შემთხვევის შემდეგ, პარიფი სამხედრო ბანაკათ შეიქმნა; შეუდგენ მოუსყენარ მზადებას, კოროლის ჯარების დასახვედრათ...

როდესაც პარიფში ეს ამბავი ხდებოდა, ევროპაში დიდი მოძრაობა იყო. სასახლის პარტიამ გადაწყვიტა პალატის დახურვა და დაბრუნება ძველებურ წესებზედ, მაგრამ კოროლმა პარიფში ხალხის გამარჯვება შეიტყო და გაკვირვებით სთქვა: «ეს არეულობა არის! — არა, ხელმწიფეო! ეს რევოლუცია გახლავსო, უპასუხა გერცოგ ლიანკურმა.

პარიფის ცელილებამ სასახლის პარტიაში შიშში შეიყვანა და სრულიად მოაუძღურა; მაშინ კოროლი მარტო წაივინა ნაციონალური კრებაში და უთხრა ხალხის წარმომადგენლებს: «აი ხედავთ, როგორი დაწმუნება მაქვს მე თქვენზედ!» პალატას მოეწონა ეს სიტყვები და ტაში დაუქრა. კოროლმა პარიფიდან და ევროპიდან ჯარების გაყენა ბრძანა, ნეკერის დაბრუნება და ყველა მათი თხოვნის შესრულება დაპირდა პალატას; უკანასკნელად თითონ ისურვა პარიფში ხალხთან წასვლა. კოროლის მისაღებათ პარიფში ასი დეპუტატი წაივინა. ნაციონალური კრების პრეზიდენტი — ბალი — პარიფს მერათ დაინიშნა და დეპუტატი ლაფაიეტი ნაციონალური გვარდიის სარდალათ. კოროლის მხრით, ეს დიდი დამტკიცება იყო იმისა, რომ მას ხალხთან შერიგება სურს.

27 ივლისს, როდესაც ლუდოვიკო პარიფში შევიდა, ბალლიმ შემდეგი სიტყვები მოახსენა: «ხელმწიფეო, მოგართმევ თქვენი კეთილი ქალაქის პარიფის გასაღებებს, იმ გასაღებებს, რომელიც ჰენრიხ IV-ს მიერთვა.

მაშინ კოროლმა სძლია თავის ხალხს, ცხლა კი ხალხმა დაიპყრო თავისი კოროლი.» აქედამ ლუდოვიკო რატუშაში წაივინა, ქუჩებში ახალი ნაციონალური გვარდია იყო და რაშეული. ხშირათ ისმოდა: «ნაციას გაუმარჯოსო.» მაგრამ როდესაც კოროლი რატუშასთან მივიდა, ჩამოვიდა კარტიდგან და მარტოცა ხალხში გაერია. ბალლიმ სახალხო ფერებდამ შემდგარი კაპარდა მიართვა, რომელიც ლუდოვიკომ იმ წამსვე შოლაზედ დაიბნია. ეს ხალხს ძლიერ მოეწონა და ბევრჯელ დაიძახა ყვირილით და ტაშის კვრით: «კოროლს გაუმარჯოს!»

ცხლა ხელმწიფე სრულიად შერიგებული იყო თავის ხალხთან; კოროლმა და ხალხმა ამ შემთხვევაში ერთმანეთს საკმაო სიყვარული და ნდობა გამოუცხადეს. მაგრამ სასახლის პარტიამ კოროლი კიდევ ბევრ შეცდომაზედ აიძულა. ძველი მონარხია თავის წინამძღოლების ბრალით დაინგრა; თითონ რევოლუციის მტრებმა მოახლოვეს მონარხის აღსასრული...

ბევრთად შეიძლება სთქვას კაცმა, რომ ეს საბრალო ხელმწიფე, თავის ცოლის და დახლოებული კაცების წყალობით, შეემთხვა იმ საშინელ ბედს, რომელიც შემდეგში თითონ კოროლევამ და მისმა პარტიამ გამოაცხადა. 1793 წ. 21 იანვარს ფრანციის კოროლის ლუდოვიკო XVI და იმის მეუღლეს, მარია ანტუანეტას, ხალხის ღალატისთვის, კონვენტის განჩინებით, თავი მოკვეთა.

უკანასკნელად უნდა ვთქვათ, რომ 14 ივლისის რევოლუციის შედეგმა მთელი ევროპის ცხოვრება ძირიანათ შეანძრა; ძველი სახელმწიფო წყობილება მოისპო, მონარხობა და ბევრი ხალხის შემავიწროებელი კანონები საშუალოთ გაქრა... დადგა ახალი ცხოვრება და ფრანციის ხალხმა იმდენი წნეებითი და ნიფთიერებითი ძალა გამოიჩინა, რომ ოცდახუთ წელიწადს ფრანცუზები სრული უფალი იყვნენ ევროპაში... თერთმეტი წლის განმავლობაში ნაპოლეონმა თერთმეტი სამეფო გააჩაჩუქრა! ამ გასაოცარ კაცმა მთელი ქვეყანა გააკვირვა ფრანციის ხალხის შემწეობით. ნაპოლეონი რევოლუციის შვილი იყო, რევოლუციამ გამოიყვანა ის დიდებულ გზაზედ; მაგრამ როდესაც იმან უფალათა თავისუფლებას, მაშინ თითონ მოიშალა თავისი დიდების სამარე!.. დიახ თოთხმეტი ივლისის ცელილებამ, გამოაღვივეს ევროპა, გაჟვანტა ხალხში მალალი კაცობრივი აზრები და მოახლოვა საყოველთაო ბედნიერება!

დ. სურბანის შგ. დი. ჰეტრუზი, ივლისის 16.

ევროპის ნაციონალურმა კრებამ გადასწყვიტა, რომ საფრანგეთმა, ნემცების ვალის გადასახველათ, სამი მილიარდი ფრანკი უნდა ისესხოსო. ოფიციალურს ვაჭეთში დავეკლილი იყო რესპუბლიკის პრეზიდენტის დეკრეტი, რომლიდამაც სჩანს, რომ ვისაც საფრანგეთისთვის ფულის სესხება სურს, ორი დღის განმავლობაში, 28 და 29 ივლისს, უნდა მოაწირონ ხელი. ანაირათ ფრანცუზებს იმედი აქეთ, რომ ამ ფულს მალე იშოვნიან და თავის დებარტამენტებს ნემცების ჯარებისაგან გაანთავისუფლებენ; წელს ერთს მილიარდს გადაიხდიან, მერმის კიდევ ერთს მილიარდსა და 1874 უკანასკნელ ვალს, ერთს მილიარდს, ამის შემდეგ, ამბობენ, ნაციონალური კრების სხდომები დროებით მოისპობა.

მაგრამ, სანამ ნაციონალური კრება დიდებლობეს, მანამ ერთ ძლიერ საინტერესო საგანზე იქნება კიდევ იქ მოლაპარაკება: იმაზე თუ როგორ მოქმედებდა ტურისა და ბორდოს მმართველობა (დელეგაცია) და როგორ მოიხმარა იმან სახელმწიფო ფულები. ამას

წინათ გამოძიებამ აღმოაჩინა, რატუშაში მისი ჩინოვნიკები, მინისტრიდამ და მწიფელებსა და აღარბებდნენ ხაზინას. ახლა გამბეტას გამგეობასაც შეეხებია. ამბობენ, რომ კამისია, რომლის თავს-მჯდომარეთ გერცოგი ოდინგე-პაკე არის, ბევრი უწყსოების აღმოჩენას აპირებსო და სხვათა შორის დეპუტატი ნაკეს (გამბეტას სეკრეტრის) და თვითონ გამბეტას სამართალში მიცემას აპირებსო, ამიტომ რომ ვითომ იმათ ომიწობის დროს ბევრი ფულები დახარჯეს ზარბაზნების სასყიდელათო. მაგრამ თითქმის ყველა ვაჭეთები დაწმუნებით იწერებია, რომ გამბეტა და ნაკე ისეთი პატიოსანი კაცები არიან, რომ უეჭველია, ისინი სახელმწიფო ფულებს არ მოიპარავდნენო. თვითონ ახლანდელ იმათ ცხოვრებაზედაც ეტყობათ, რომ ისინი ფულის პატრონები არ არიან და უკანონოთ გროში არ შეუძნეიათ: გამბეტა ერთს უბრალო სასტუმროში სცხოვრებს; იმას არც ეკიპაჟი და არც თავის საკუთარი მოსამსახურე ჰყარს. ის ირჩენს თავს იმ ჯამგირით (200 მანეთით), რომელიც იმას, როგორც დეპუტატს, ეძლევა, და აგრეთვე თავის ვაჭეთის შემოსავლიდამ. ნაკე კიდევ უფრო ღარიბია თურმე: იმას დიდი ოჯახი ჰყავს და რადგანაც დეპუტატის ჯამგირი არა ჰყოფის, ამის გამო იძულებულია სხვა და სხვა უცხო ქვეყნის ვაჭეთებში და ტურნალებში კორრესპონდენციები და სტატეები სწეროს და ამითი არჩინოს თავისი ოჯახი. განა ამისთანა კაცებს შეიძლება ვინმე ქრთამის აღება, ან თავისთვის სახელმწიფო ფულების მოხმარება შესწამოს?

— რამდენიმე დებარტამენტის მასწავლებლებისაგან ამას წინათ ნაციონალურ კრებას აღრესები მოუვიდა, რომელშიაც ისინი აცხადებენ თავიანთ აზრს სახალხო შკოლებში ვალდებულებითი სწავლის შესახებ. ისინი ამბობენ, რომ განსაკუთრებით ახლა ჩვენი ქვეყნის ასამაღლებლათ და გასაუმჯობესებლათ ვალდებულებითი და საერო სწავლა აუცილებლათ საჭირო არისო. ამასთანვე ნაციონალურ კრებას სთხოვენ, მიიღოს მხედველობაში სახალხო შკოლების მასწავლებლების გაჭირებული მდგომარეობა. «ეს მასწავლებლები ყველაზე უკეთესი და უფრო სასარგებლო მოსამსახურეები არიან საფრანგეთისათა, მაგრამ თავის შრომის ჯილდო ამათ ძლიერ ნაკლებათ ეძლევათ.»

შეიტყარია
ც ი უ ზ ი ხ ი დ ა მ
(აღროქის კორესპონდენცია)

თუმცა კი ვემინია, მკითხველო, ვაი თუ ჩემი წერილი ერთობ დიდი გამოვიდეს და თავ მოგაბზრო, მაგრამ მაინც არ შემძლია არ მოგელაპარაკო დღეს იმ სამ ცოცხლათ ნაციონალურ უქმეებზე ანუ დღესასწაულებზე, რომელის მოაწამეც მე ვიყავი ამ ჩემი ცოტა ხნის აქ ყოფნაში. იმედი მაქვს, რომ ვინც კი ამ წერილის კითხვას დაიწყებს — და აბოლოებს კიდევ, რადგან ჩემი გულის წაღილი — ვითარცა კორრესპონდენტისა — როგორც ამ წერილში, ისე ყოველგვარ აქედამ მოწერილ წერილებში, ის იქნება, რომ აქაური ხალხის გაცნობაში დაეხმარო მკითხველს.

ვინ არ იცის, რომ რომელიმე ხალხის გაცნობისათვის საკმაო არ არის კაცმა მარტომ ხალხის გეოგრაფია და საზოგადო ისტორია იცოდეს, არამედ უფრო წერილმანი ჩვეულებები, რომელთაც კი ნაციონალური ხასიათი აქვს; საზოგადო და ოჯახური ცხოვრება არიან საჭირონი ამ საქმისათვის... ჩემი სურვილიც ეგ არის, რომ მკითხველის ყუ

